# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 174 ხუთშაბათი, 6 აგვისტო 1909 წ. 174


ეროვნული ბიბლიოთეკა


განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

„დროების" რედაქცია უწყებს საზოგადოებას, რომ დღეს 6 აგვისტოს,

### ვლადიმერ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (1—1)

---

ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 6 აგვისტოს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

### ვლადიმერ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი 12 საათზე. (3—რ.—3)

---

საქართველოს სინოდალური კანტორა აცხადებს, რომ ამ აგვისტოს 6-ს სიონის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელო

### გორის ეპისკოპოსის პეტრეს

ნახევარი წლის გარდაცვალების გამო, უსამღვდელოესი გიორგი, ეპისკოპოსი იმერეთისა, წირვის შემდეგ გადაიხდის პანაშვიდს განსვენებულ მღვდელ მთავრის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. (2—395—2)

---

თავადი გრიგოლ ივანეს ძე, მეუღლე მისი კნ. ელისაბედ გიორგის ასული, ასული მათი კნიაჟნა თამარ ანდრონიკაშვილები; თავადი კონსტანტინე დავითის ძე, მეუღლე მისი კნ. ელენე გრიგოლის ასული ვაჩნაძეები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის პირველის—ცოლის ძმის წულის, მეორის—ძმის წულის, მესამის—ბიძაშვილის, მეოთხის—ცოლის ბიძაშვილის და მეგობრის და უკანასკნელის—ბიძაშვილის, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

### ილია (ილუშა) ნიკოლოზის ძის ნაკაშიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება სოფელ ფეჟინში წმ. სამების ეკლესიაში კვირას, 9 მარიამობის თვეს. (1—397—1)

---

ანნა სვიმონის ასული ჯოხაძისა, მარიამ გიორგის ასული კეჩხუაშვილისა, გიორგი და მიხეილ დავითის ძენი კეჩხუაშვილები, ალექსანდრე (საშა) და ანიჩკა ჭამპურიძენი, ივანე და ილიკო ყორანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, მეორე—ძმის, დანარჩენნი—ძვირფას ბიძის

### გლახა გიორგის ძე ჯოხაძისას.

პანაშვიდი 6 და 7 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში—ჭავჭავაძის ქ., ლევონდის შესახვევი, № 5. გამოსვენება შაბათს 8 აგვისტოს დილის 10 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლესიის (კუკიის) სასაფლაოზე. (2—399—1)

---

მარიამ, იგივე ოქრო გრიგოლის ასული, გრიგოლ დიმიტრის ძე და როზალია გრიგოლის ასული იოსავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 აგვისტოს გარდაცვალების მეორმოცე დღეს, პირველის—ძვირფასი ქმრის, მეორის მამის და მესამის—სიმამრის

### დიმიტრი თანაშვიას ძე იოსავასას,

გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დაბა ახალ-სენაკში განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—398—1)

---

### საჩქაროდ იყიდება ორ-სართულიანი სახლი

ზემო სართულში 4 ოთახია, დერეფანი, აივანი, საპარადო კარები და სამზარეულო. ძირითა სართულში: 2 ოთახი, სამზარეულო, აივანი, 2 დუქანი, 2 სარდაფი და სარაია. ბანკის ვალი 2970 მან. ზედ მეტი გადასახდელი 7030 მან. ადრესი: ბაქოს ქ., № 4, მიხეილის პროსპექტის მახლობლად. (1—ხალ.—1)

---

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნაკი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—30)

---

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეისერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—23)

---

ექიმ ვ. ღამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—22)

---

### თამბაქოს ქარხანა

### ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

„ტოვარიშჩ"—20 ცალი 5 კაპ. (სამ. ფორმ.)

„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ. (წვრ. ფორმ.)

შენიშვნა: სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. **მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—2)

---

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპიზოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—74)

---

**ექიმი** ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში,

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ ფაკულტეტის კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—23)

---

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემირჩოგლი და გ. რ. სუხაროვსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაგდება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვიანის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—219)

---

**ექიმი** ა. ნ. ჯიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

---

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან: მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—35)

---

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 9. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო გ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 129,

---

### საფერშლო-საბებიო სკოლა.

ქიევში

ექიმ ნეიმტუხს სამკურნალოსთან 100 კრავ. „კვისისანა". თხოვნების მიღება 1 სექტემბრამდე. (5—ფ.—1)

---

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჭანტურია

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლო.) (24—310—18)

---

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

ახლად გახსნილი

ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. **ფელდორიევი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ღამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილის., კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—126

---

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—6)

---

### დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

### პროგიმნაზია

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—33.—4)

---

### დ. სურამში

8 აგვისტოს გაიმართება

### კონცერტი

ივ. სარაჯიშვილის, ქნ თ. ძნელაძისა და სხვათა მონაწილეობით.

შემოსავალი სავსებით გადაიდება ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. (3—უ.—3)

---

### შპალიერი ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 24)

---

### დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

### იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

### პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—24)

---

### ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ჩანგში" ბ-ნი მოსული ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება; იგი ცუდ გუნებაზე დაუყენებია იმ გარემოებას, რომ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ქადაგების" მეტს ვერაფერსა ვხედავთ.

იყო დრო, მაგალითად რუსეთის ცხოვრების ახლო წარსულში,—ამბობს ბ-ნი მოსული,—როდესაც მართლა სიტყვაც დიდი საქმე იყო. სიტყვას დიადი სოციალური ძალა ჰქონდა, და ლიტერატურაც თავის „ქადაგებით" დიდ საქმეს აკეთებდა, მაშინ ყოველივე ქადაგებელი, სალხში თავისუფალი აზრების გამავრცელებელი, მისი დამრიგებელი მართლა საზოგადო მოღვაწე იყო. იმიტომ, ვიმეორებთ, რომ მაშინდელ ცხოვრების პირობებში სიტყვა საქმეს უდრიდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სიტყვა საქმეს ამზადებდა. მართლაც, დადგა დრო და სიტყვა საქმეთ იქცა.

ავტორი რომ ჩვენს ცხოვრებას უკვირდება, ვერაფერს სანუგეშოს ვერა ჰხედავს. ჩვენში მთელი მოქმედება, მისი აზრით, მხოლოდ ლაპარაკსა და ქადაგებაში იხატება.

ჩვენი გაზეთები რომ გადაათვალიეროთ, ნამეტნავად ერთი ჯურის, თითქმის ყოველივე ნომერში შეხვდებით ვაის და გოდებას ჩვენი ერის მდგომარეობის შესახებ, ან პათეთიურ მოწოდებას: სამშობლო იღუპება, ხალხი გაუნათლებლობითა და სიღარიბით იტანჯება, გლეხს ხელიდან მიწა ეცლება, საჭიროა ეროვნული აღორძინება, განათლება, კოოპერაცია, კრედიტი, შრომა და სხვ. და სხვ. ამ გვარსავე მოწოდებებს თუმცა სხვა ხასიათისას თქვენ ჰპოვებთ მეორე ჯურის გაზეთებშიაც. „ჩანგში", მაგალითად, ამას წინად ერთი მასწავლებელი მოუწოდებდა თავის ამხანაგებს—მეკავშირეობისკენ.

ბ-ნი მოსული უმთავრესს მიზეზს ამისას ჰხედავს ინტელიგენციის უმოქმედობაში.

დღეს სამოქმედო ასპარეზი საზოგადოების უფრო ზომიერ ელემენტებსა აქვთ დარჩენილი. ჩვენ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არავითარი საეროვნო საქმე, არავითარი სახალხო საქმე ჩვენს ნაციონალისტებს, ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენი საზოგადოების გაბატონებულ კლასს არა გაუკეთებია. თუმცა ამავე დროს მათი მეზობლები მუშაობენ, თავიანთ თვალსაზრისით ეროვნულ საქმეს ემსახურებიან. ჩვენ ამას უფრო იმიტომ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ამბობენ, ს.-დ. ხალხში მუშაობა თავის მონოპოლიათ გაიხადა, ჩვენ არ გვიშვებს ამუშაოდ და მ ელი ერი უფსკრულამდე მიიყვანაო.

სამწუხაროდ, სრული ჭეშმარიტებაა! ჩვენს გაზეთში ამის შესახებ არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდილა. არა ერთხელ გვიკიჟინებია ქართველ ინტელიგენციისთვის მისი უმოქმედობა. იგი სისტემატიურად გაურბის ისეთს სამუშაოს, რომელსაც მართლა საეროვნო, სახალხო მნიშვნელობა აქვს. იქაც კი, სადაც თითქოს საეროვნო საქმე კეთდება, ნამდვილად მხოლოდ განსაზღვრულ ჯგუფების ინტერესთა სამსახურსა ვხედავთ, და არა საერთო სახალხო მოღვაწეობას. რომ მოქმედებამ ნაყოფი გამოიღოს, აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს ხასიათი ჩვენის ინტელიგენციის მუშაობისა. ეს კი შეუძლებელი გახდება იმ დრომდე, სანამ ინტელიგენცია ერთხელ და სამუდამოდ არ გამოარკვევს თავის სამოქმედო გეგმას, თავს არ დაადწევს იმ უპრინციპობას, რომელშიაც ჩაფლულია იგი.

რაც შეეხება გაზეთების მიმართ საყვედურს, ვითომ ისინი ბევრს ჰგოდებენ სხვა და სხვა უგვან მოვლენის შესახებ, ჩვენ ეს უსამართლოდ მიგვაჩნია. გაზეთი ცხოვრებას უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს და თუ მაგალითად, ისეთ მოვლენასა ჰხედავს, როგორიც არის ეროვნულ ცხოვრების შეფერხება, მიწა-წყლის დაკარგვა, ერთხელ და ორჯელ კი არა, მუდამ ჟამს უნდა სწერდეს და აფხიზლებდეს საზოგადოებას...

* * *

ფრიად დამახასიათებელი წერილი დაუგზავნია ოქტომბრისტების გაზეთ „გოლოს მოსკვ"-ს თავის კორესპონდენტებისთვის:

რედაქციაში ხშირად იგზავნება ხოლმე ცალ-მხრივი და ტენდენციოზური კორესპონდენციები. ხშირად კორესპონდენტები არა ხვდილობენ, პარტიათა ურთიერთობას ღრმათ ჩაუკვირდნენ და საქმის ვითარებას იმაირად გადმოგვცემენ, ვითომც ბრძოლა მხოლოდ „მემარჯვენეთა" და „პროგრესისტთა" შორის სწარმოებდეს. ამასთანავე კორესპონდენტები სრულიად უსაფუძვლოდ «მემარჯვენეებს» რეაქციონერებად ნათლავენ და „პროგრესისტებს" კადეტებად, თითქოს სხვა ფრთენის ხალხი (მაგ. ოქტომბრისტები, ზომიერი მემარჯვენენი და სხვ.) არ არსებობდეს. კორესპონდენტები დაბეჯითებით ირწმუნებიან ხოლმე, რომ ყველა უბედურება მემარჯვენეთაგან წარმოსდგება და იმედებსაც პროგრესისტებზე, ე. ი. კადეტებზე ამყარებენ.

ამნაირ დასურათხატებას ადგილობრივ ცხოვრებისას რედაქცია არ თანაუგრძნობს, და ამიტომ სთხოვს თავის კორესპონდენტებს, ამნაირ შინაარსის წერილებს ნუღარ გამოგზავნიან, რადგან, სულ ერთია, არ დაიბეჭდება.

ამას გარდა, მცხოვრებთა გაყოფა „რეაქციონერებად" და „პროგრესისტებად" ჩვენ უსაფუძვლოთ და ტენდენციოზურათ მიგვაჩნია. თუ უფრო დამამ კიდევ საბუთებს დაუჯერებთ, „მუშაობა" „პროგრესისტებისა", ე. ი. კადეტებისა. იქნება უფრო მავნებელიც იყოს, ვიდრე რეაქციონერებისა. საქალაქო და საერობო თვით-მმართველობათა საქმეების წესიერად წარმოება შეუძლიანთ მხოლოდ ზომიერ ჯგუფებს, ე. ი. ოქტომბრისტებსა და ზომიერ მემარჯვენეებს.

გთხოვთ მხედველობაში გქონდეთ ეს განმარტება, თუ ჩვენს გაზეთში თანამშრომლობა გსურთ.

ოქტომბრისტების ფიზიონომიის დამახასიათებელი წერილია: კორესპონდენტები ნამდვილ ცნობებს აწვდიან, გაზეთი კი უბრძანებს—მაგისთანა რამეები ჩვენ არ გვეკადრებაო.

### დეპეშები

(პეტ. რს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო

#### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მაკედონიის რეფორმებზე დიდ სახელმწიფოების კონტროლის, საგენერალო საინსპექტოროს და მაკედონიის საფინანსო კომისიის გაუქმება ახალგაზრდა ოსმალთა დიპლომატიური გამარჯვებაა. ეს გამარჯვება ახალგაზრდა ოსმალებს შეძლებას აძლევს ახალი რეჟიმი განამტკიცონ. ამის შემდეგ მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა ოსმალები კრიტის საქმეში დათმობის გზას დაადგებიან.

**სმირნა.** დღეს, 5 აგვისტოს ზღვაში გავიდა ოსმალეთის ფლოტი—სულ ათი გემი. ოსმალეთის საგუშაო ამხანაგობები მიემხრნენ საბერძნეთის ბოიკოტს, ისინი ითხოვენ ბერძენ მოსამსახურეებს.

**სტამბოლი.** სასანიტარო საბჭო შინჯავს იმ მგზავრებს, რომლებიც რუსეთიდან ჩამოდიან.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** დღეს, 5 აგვისტოს, ქალაქის რკინის გზის ყველა ლიანდაგებზე მუშაობა დაიწყო, თუმცა წინანდელზე ნაკლები ვაგონები დაიარებიან. შვეციის რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირი იუწყება, რომ მოსამსახურეების უმრავლესობა გაფიცვის წინააღმდეგი არისო.

### საზღვარ-გარედ.

**სტოკჰოლმი.** საერთაშორისო მშვიდობიანობის კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა, კონგრესსი 1910 წელს მოიწვიოს, რადგან უცხოელებს, რომელნიც კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ, ეჭვი ეპარებათ, შვეციაში საყოველთაო გაფიცვაა და ეს დრო შესაფერი არ არის კონგრესის მოსაწვევადაო.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესს"-ე იუწყება, ხმა გავრცელდა, რომ იმპერატორმა ფრანც-იოსებმა პაპის თავის ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნაო. ეს წერილი პასუხია იმ წერილისა, რომელიც პაპიმ ფრანც-იოსებს მოსწერა და შუამდგომლობდა ზაგრების პროცესის ბრალდებულების შესახებ. ფრანც-იოსები თავის წერილში პაპის არწმუნებს, ბრალდებულების საქმეს პირუთვნელად გაარჩევენო.

**ლონდონი.** დილით სიკვდილით დასაჯეს პოლკოვნიკ კერზონის მკვლელი ინდოელი ჯიგრა.

### რ უ ს ე თ ი

**იაროსლავლი.** საგუბერნიო ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი იაკოვლევი, ოქტომბრისტი, 45 წლისა, საგუბერნიო ერობის გამგეობის წევრი, უმაღლეს სწავლა დამთავრებული.

**ჩერნიგოვი.** სოფელ ნედანჩიჩში დაიწვა 70 სახლი. ამას გარდა დაიწვა ბევრი დედაკაცი, ბავშვი და ამ წლის ის მოსავალი, რომელიც უკვე სახლებში დააბინავეს.

**პერემიშლი.** სოფელ ტერნოვში მოჰკლეს მღვდლის ცოლი. მკვლელი მეზობელ სოფლის გლეხი აღმოჩნდა. მკვლელი უკვე დააპატიმრეს. მკვლელს მღვდლის ცოლი გაცარცვის გულისთვის მოუკლავს. მკვლელს წაუღია 2,000 მანეთი.

**ოდესა.** გუშინ, 3 აგვისტოს, რაზდელნოის ახლო ბოროტგანმზრახველებმა რკინის გზის ლიანდაგზე შპალები დააწყეს. მათ უნდოდათ საჩქარო სამგზავრო მატარებლის გადაბრუნება, მაგრამ თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

**პეტერბურგი.** ქალაქის თვითმართველობას უმაღლესად ნება დართო მთელ რუსეთში ხელის მოწერა გამართოს გოგოლის ძეგლის ასაგებად.

**ოდესა.** 3 აგვისტოს ღამე ბოროტგანმზრახველებმა ხელმეორედ განიზრახეს საჩქარო მატარებლის გადაბრუნება. მატარებელი გადაარჩინა რკინის გზის ლიანდაგის მოსამსახურემ.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 30, გარდაიცვალა 9, ავად არის 365 კაცი.

**არხანგელსკი.** ქალაქში ავად გახდა 2 კაცი; შენკურსკის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2, ხოლმოგორის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**პლოცკი.** 2-3 აგვისტოს ავად გახდა 5 კაცი, 5 აგვისტოს ავად გახდა კადეტთა კორპუსის მსახურის ცოლი. კადეტთა კორპუსში სწავლის დაწყება 31 აგვისტოსათვის გადაიდო.

**პოლტავა.** გალიაჩსკის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1 კაცი; კრემენჩუგში გარდაიცვალა 1 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა ორი, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ტვერი.** კორჩევის მაზრაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 9 კაცი; ნოვოტორჟოკის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა ორი კაცი.

**კრონშტადტი.** 2 აგვისტოს ავად გახდა ერთი კაცი.

**იაროსლავლი.** რიბინსკში და მის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი; იაროსლავში და მის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3 კაცი.

## გორის საოსტატო სემინარია

(ვუძღვნი გორელებს)

გორის, ანუ ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია დაარსებულ იქმნა 1876 წელს. ამაზე ერთი წლის წინად მთავრობამ გამოაცხადა სურვილი—სადმე ამიერ-კავკასიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნისა. დაფაცურდა ჩვენი მხრის რამდენიმე დაბა ქალაქი; გაისმა ყოველის მხრიდან სწავლა-განათლებით დამშეულ ხალხის თხოვნა-მუდარება. მთავრობას ჰპირდებოდნენ სხვა და სხვა დახმარებას, ოღონდ ჩვენ ძი გახსენი სემინარიაო. რაღა თქმა უნდა, არ ჩამორჩნენ სხვებს უკან გორელებიც. ქართლის თავად-აზნაურობამაც ამოიღო ხმა და ეს ხმა შეუერთდა გორის სურვილს. კავკასიაში ხელმწიფის მოადგილედ ნამყოფს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს სთხოვეს ამ საქმეში დახმარება. ამ თხოვნამ გასჭრა და გორში გაიხსნა „ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია", როგორც უმაღლეს ბრძანებაში სწერია —„ამიერ-კავკასიის ბინადარ მცხოვრებთა შვილებისათვის".

1877 წელს, იმავე დიდ მთავრის სურვილისამებრ, აქვე დაარსდა სემინარიის მაჰმადიანური განყოფილება, რომელშიაც საცხოვრებლად და სასწავლებლად მოათავსეს სამოცამდე დიდი და პატარა მაჰმადიანის ბავშვი. ამათ, თვით მთავრობის განკარგულებით, ჰქონდათ საკუთარი სამლოცველო, ჰყავდათ თავიანთი მოძღვარნი და აღმზრდელნი. საჭმელსასმელს უკეთებდა მაჰმად ანივე მზარეული. შვიდი-რვა წლის მაჰმადიანის ბავშვებისთვის. გახსნეს პირველ დაწყებითი სკოლა, რომელშიაც პირველი წლის განმავლობაში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდა. აქ მომზადებული ბავშვები შემდეგ გადიოდნენ უმცროს ოსამზადებელ კლასში. ეს კლასიც მხოლოდ მაჰმადიანებისთვის იყო დაარსებული. მთავრობის მზრუნველობა ამ შემთხვევაში იქამდის მიდიოდა, რომ ხშირად ნახევრად ცარიელ კლასში რუსის ბავშვებსაც არ იღებდნენ. მასწავლებელი სრულს ჯამაგირს იღებდა, შვიდი-რვა მოსწავლის მეტი არა ჰყავდა, მაგრამ მაინც ქრისტიან ბავშვებისათვის ამ კლასში კარი მუდამ დახშული იყო. მაჰმადიანებისთვის არის გახსნილი და ამიტომ აქ მხოლოდ მაჰმადიანებმა უნდა ისწავლონო, იძახოდნენ უფროსები.

აი ამ მაჰმადებიანად მთლად გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობს ას ოცი ყმაწვილი, ყველა ესენი პანსიონებში არიან. ამათ საცხოვრებლად ყოველწლივ იხარჯებოდა არა ნაკლებ ექვსი ათას თუმნისა. ამ ფულიდან ყოველწლივ, ეჭვი არ უნდა, გორში რჩებოდა არა ნაკლებ ოთხი ათას თუმნისა, ხოლო ოცდა ცამეტი წლის განმავლობაში გორს მიუღია სემინარიისაგან ერთი მილიონი სამას ოცი ათასი მანეთი. ცხადია, რა საყურადღებო შეღავათს მისცემდა ღარიბ-ღატაკ გორს ეს ამოღენა ფული. სემინარიის სახლის ასაშენებლად დანიშნულია ოცდა თვრამეტი ათასი მანეთი. თუ სემინარია გორში დარჩა და აქ აშენდა მისი სახლი, ეჭვი არ უნდა, ამ ფულის თუ არა მეტი, ნახევარი მაინც დარჩება გორში. ეს ქონებრივი სარგებლობა. აბა, ახლა დაახლოვებით მაინც ავნუსხოთ მორალურ-ზნეობრივი და გონებრივი სარგებლობა. სასწავლებელში ოცამდე განათლებული კაცი მსახურებს. ოცნასწავლ ადამიანის ცხოვრება, რასაკვირველია, უშედეგოდ არ გაივლის და იმსთანა პატარა ქალაქის მცხოვრებთათვის, როგორიც არის გორი. მრავალჯერ მომხდარა ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს მასწავლებელნი სათავეში მოჰქცევიან აქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გორელების სასარგებლოდ მოუწყვიათ ამ ცხოვრების ვითარება. თვით სასწავლებელიც მთელ თავის ყოველდღიურ მოქმედებით, თავის მოსწავლეთა კეთილზნეობრივ ყოფა ქცევით, თავის მდიდარ და ჩინებულ ბიბლიოთეკით, ეჭვი არ უნდა, არა მცირედ გავლენასმოახდენდა გორელებზე. სემინარიასთან იმავ თაობითვე გაიხსნა ოთხი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი: რუსული, ქართული, სომხური და თათრული. ამ ჟამად თუმცა ქართული და სომხური სკოლები აღარ არსებობენ, მაგრამ რუსული სკოლა მაინც იმავე გორელების შვილებით არის სავსე: ორმოცამდე დაბალ ხალხის ბავშვი სწავლობს აქ. რაღა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ცალი ხარის ანდაზა? სულ არარაობის დროს არც ეს არის დასაწუნი. ამ მხრივაც კარგ სარგებლობას აძლევდა გორელებს საოსტატო სემინარია. გარდა ამისა, სემინარიის ერთი სხვა საყურადღებო სამსახურიც მიუძღვის გორსა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების წინაშე. მას აქვს კარგად შემუშავებული ბოსტანი და ხილის ბაღი. ერთსაცა და მეორესაც უვლიან და აკეთებენ სემინარიის მოსწავლენი. ხელმძღვანელად ჰყავთ უმაღლეს სწავლა-მიღებული, მეურნეობაში გაწრთვნილი მასწავლებელი. აკეთებენ აქ მრავალ ჩინებულ ნამყენს, აგროვებენ დიდძალ საბოსტნე თესლეულობას და ყველა ამას ხშირად მუქთად და ხანაც სულ უბრალო ფასად ავრცელებენ საზოგადოებაში. არა ერთი და ორი ცნობის-მოყვარე ყოფილა ამ ბაღში. უცქერია აქაურ რიგიან მუშაობისათვის და, ეჭვი არ უნდა, ბევრი რამ კიდეც შეუგნია და დაუხსომებია თავის სასიკეთოდ.

ყველა ამას უნდა გამოეთხოვოს გორი!.. ყველა ეს უნდა წაერთვას იმის ღარიბ ღატაკ მცხოვრებთ! რათა? რისთვის? ვისთან რა დანაშაული მიუძღვით, რომ ას, ულმობელად ისჯებიან იგინი? არაფერი, ჩემო ბატონო, სრულიად არაფერი, უკეთუ დანაშაულად არ ჩაუთვლით სიღარიბეს, რომლის გამოც ვერ აკმაყოფილებენ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას. რაში მდგომარეობენ ეს მოთხოვნილებანი?

ამ წლის დამდეგ განათლების სამინისტროდან მოვიდა ცნობა: გორის საოსტატო სემინარიის სახლის ასაშენებლად გადაიდო 218 ათასი მანეთი; ეს სახლი უნდა აშენდეს ქალაქის მიერ მუქთად დათმობილ ათ დღიურ მიწაზე, რომელიც, როგორც მდებარეობით, ისე ჰავა-ჰაერით, უნდა აკმაყოფილებდეს სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნილებათა. სამწუხაროდ, ასეთი ადგილი არ აღმოუჩნდა გორსა. სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ თვით იწყო ძებნა ამისთანა ადგილისა. და ბოლოს აირჩია ყოველნაირად შემკული, სწორედ ათი დღის მიწა, მაგრამ ეს მიწა ქალაქისა არ არის, იგი კერძო საკუთრებაა. ბ-ნმა გურგენოვმა თვისი მამული სამი ათას თუმნად დააფასა. ღარიბ-ღატაკი გორი, აბა, საიდან შესძლებდა ამოღენა ფულის შოვნას? პედაგოგიურმა საბჭომ იცოდა გორის ქონებრივი ავლა-დიდება და ამიტომ გადასწყვიტა მიშველებოდა მას. სემინარიას აქვს ოთხი დღიური კარგად მოწყობილ-შემუშავებული ხილისა და ბოსტნის ბაღი. ეს ბაღი შეაძლია გურგენოვს ორი ათას თუმანში. უკანასკნელმა თანხმობა გამოაცხადა. დარჩა კიდევ ათასი თუმანი. აქაც პედაგოგიურმა საბჭომ ქალაქის სიღარიბეს მეგობრულად გაუშვირა ხელი. სემინარიას აღმოუჩინა ექვსასი თუმანი ფული, და ეს ფული ... ჩა ახლა ... თუმანი, რომლის ... ... რა გორმა. აქამომდე ჩინებულად მიმდინარე საქმე, აქ უცებ შეფერხდა: სწავლა-განათლების მზრუნველმა ნება არ მისცა საბჭოს ხსენებულ ექვსას თუმნის დახარჯვისა. ამნაირად, ათას თუმნის გადახდა სრულიად დააწვა გორს, რომლისთვისაც ამოღენა ფულის გადახდა მეტის-მეტად საძნელო აღმოჩნდა. ამ სიძნელეს ზედ დაერთო ერთი სხვა მავნე გარემოებაც, რომელიც გაჩნდა, უეცრად და ისეთ მხრიდან, საიდანაც სრულიად არავინ მოელოდა. საქმის გასათვალისწინებლად დავიხიოთ ცოტა უკან.

**გორელი.**

(დასასრული იქნება)

## კავკავის განკის გამო

სამშობლოს გარეშე მყოფ ქართველთა შორის კავკაველმა ქართველებმა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს. მათი საზოგადო მოღვაწეობა ჯერ შეეხო ადგილობრივ მოზარდ თაობის სწავლის საჭიროებას: დააარსეს, რამდენადაც გარემოება ხელს არ უშლიდა, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი მაღალის ტიპისა; მოათავსეს იგი საკუთარ ფართო შენობაში; იმავე შენობაში მოაწყეს სათეატრო დარბაზი, რომელიც, გარდა პირდაპირ დავის დანიშნულებისა, შემოსავლის წყაროდაც ითვლება.

ახლა, როგორც გადმოგვცემს „დროების" კორესპონდენტი, იმავე მხნე ქართველებმა განიზრახეს ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელება, რომელსაც აქამდის ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მე მოგახსენებთ კავკავის მომავალ ბანკზე.

თანამედროვე ცხოვრებაში კრედიტის, სესხის საკითხი par excelance-ს შეადგენს კაპიტალიზმის წეს-წყობილებისას. ძნელია სთქვას კაცმა, კაცობრიობის მიერ რას უფრო მეტი მსხვერპლი შეეწირვის: სხვა და სხვა ავადმყოფობას, თუ უხეიროდ მოწყობილ კრედიტ-მოვაჭრეობას, ამ ძალა გახსნილ და გაუმაძღარ ლევიათანს. ინგლისის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწისა და თანაც შესანიშნავ ფინანსისტის გლადსტონის აზრით, ფინანსიურ კრიზისებისაგან უფრო მეტი ხალხი შეშლილა, ვიდრე სიყვარულისაგან.

მიმოვიხედოთ გარეშემო. განა შესაძლებელი იქნებოდა კერძო კაცისთვის, თუნდ სახელმწიფოსთვის გან-

## მოგონება

ვარსკვლავთ ლაშქარით გარს შემორტყმული

მიდის, მისცურავს გუმბა ცისა,
თვალის წარმტაცი, ფიქრთა ამშლელი
მაღსხინებელი დედა-მიწისა!
მიდის, მისცურავს, მის ოქროს ვარაყს
მეც ზედ ვაწერავ ტკბილს მოგონებას,
და წმინდა ლოცვა, წმინდა სიტყვები
არა ჰშორდება ჩემს გულ-გონებას!
„მომიგონეო, როდესაც მთვარემ
უხმოდ, მარტო შენ დაგანათოს,
მე შორს ვიქნები, მაგრამ იმ წუთში
იცოდე, შევცქერ იმავე მნათობს.
და, მისი სხივი გვმოციქულობდეს,
ერთს ბედში მყოფებს, ბედით გაყრილებს
და საყვარელო, იგი შენს სატრფოს
მოუტანს შენს გულს, გრძნობას და
ფიქრებს!"
მისცურავს მთვარე ვარსკვლავთ
ლაშქარში,
ხმა ზეციური მესაუბრება
და ცხოვრებისა ორი ტყვესათვის;
მოციქულია თვითონ ბუნება.

**ი. ევდოშვილი.**

## სონეტი

* *
*

შენი ქვითინი,
შენი კვნესა, ტანჯვა, ვაება
ჩემს ჩანგის ჟღერას
ჩაექსოვა, ჩაკვდა, გაება.

—

ჟამსა მწუხარეს
და კაეშნით გარე-მოცულსა,
ტრფობის ისარით
დაკოდილსა, დამწუხრებულსა,
მსურდა შთამენთქა
ბნელ ჯურღმულში მწვავე ფიქრები,
მსურდა ოცნებას
გაეშალა ფერადად ფრთები;
მსურდა ყოვლ-მხრივ
გამეგონა სიცოცხლის ხმები...
და მხიარული
ავაჟღერე ჩანგის სიმები...
...მაგრამ უეცრივ
შეიცვალა საამო ჰანგი,—
და დღესაც მოსთქვამს
მწარე კვნესით ეს ჩემი ჩანგი.

—

შენი ქვითინი,
შენი კვნესა, ტანჯვა, ვაება,
ჩემს ჩანგის სიმებს
შიგ ჩაეწნა, ჩაკვდა, გაება.

**ი. გრიშაშვილი.**

## ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა

5*).

რა დამოკიდებულება არსებობს ეროვნულს შემოქმედ სულსა და სოციალ-პოლიტიკურ წეს-წყობილების შორის? ჩვენ სრულიადაც არ უარ-ვყოფთ, რომ აქაც ისევე, როგორც ტეხნიკურ კულტურის სფერაში, თვითეული ეროვნება ძლიერ ხშირად შობს სპეციფიურს, ორიგინალურს, შესაბამებელს თავის ნაციონალურს ხასიათთან. მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, სოციალ-პოლიტიკურ წეს-წყობილების სფერაშიაც საერთაშორისო, საკაცობრიო ფსიხიური შემოქმედება უფრო აშკარად იხატება, ვიდრე ეროვნული, და ეს მით უფრო გარკვევით, რაც უფრო წინ მიდის საზოგადოებრივი განვითარება. ორი ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს მთელს დღევანდელს კულტურულს კაცობრიობას თითქმის გამოუკლებლად: კლასობრივი საზოგადოება და კონსტიტუციონური პოლიტიკური წყობილება. თანამედროვე საზოგადოების ტენდენცია მიმართულია კლასებად დაყოფილ დემოკრატიისკენ და ამ ძლიერ ტენდენციის გავლენას ვერც ერთი ეროვნება ვერ გადაურჩა, ვერც თვით რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი და აღმოსავლეთის სხვა დესპოტიები, რომელნიც კარგა ხანს წოდებრივ და აბსოლიუტისტურ წყობილების შეურყეველ კერად ითვლებოდნენ. ის, რაც ყველაზე ადრე ორ მოწინავე ერის—ფრანგებისა და ინგლისელების—ენერგიამ და ჰენიოსობამ შეჰქმნა, დღეს მთელ კაცობრიობის კუთვნილებად ხდება და აშკარად მოწმობს იმ აზრს, რომ ამ მხრით მსგავსება სხვა და სხვა ეროვნებასა და მათ მოთხოვნილებათა შორის უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მეცნიერი და მკვლევარი ეროვნების შექმნაში გადამწყვეტს როლს სწორედ პოლიტიკურს მომენტს ასაკუთრებს. მაგალითად, ავსტრიელი სოციოლოგი გუმპლოვიჩი ეროვნებას ახასიათებს, როგორც „საერთო სახელმწიფოს მიერ წარმოშობილს კულტურულ და სულიერ ინტერესთა მთლიანობას, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად არ საჭიროებს, საერთო ენაზე ილაპარაკოს". საქმის ნამდვილს ვითარებას ეს შეხედულება ისევე უკუღმა ატრიალებს, როგორც „ღვთ-მიცემობის თეორია", და იმის დასარღვევად იგივე ისტორიული ფაქტებია საკმაო, რომელნიც ზევით მოვიყვანეთ. არა სახელმწიფო ჰქმნის ეროვნებას, არამედ, პირიქით, ეროვნება იწვევს ცხოვრებაში ეროვნულს სახელმწიფოს, ან, ყოველს შემთხვევაში, სცდილობს, თავის არსებით მოთხოვნილებების შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაცია მოიპოვოს.

მთელ მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ბრძოლა ეროვნებათა ნაციონალურ სახელმწიფოს გულისთვის და ეს ბრძოლა დღესაც არ დამთავრებულა. ეს სტიქიონისებური ლტოლვა ეროვნებათა დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოსადმი, ეს უძლეველი მიმდინარეობა, რომელიც ამ უკანასკნელ 150 წლის ისტორიის შინაარს შეადგენს, რომელიც შეერთებულ შტატების განთავისუფლებით დაიწყო და რომლის უმნიშვნელოვანეს მომენტებს სამხრეთ ამერიკას რესპუბლიკათა, შემდეგ ბელგიის (1830 წ.), საბერძნეთის (1832 წ.), ბალკანეთის სლავიანების (1878 წ.), რუმინიის (1856 წ.—1866 წ.) იტალიის (1859 წ. — 1871 წ.), გერმანიის (1871 წ.), არსებითად ჰუნგრეთისაც, ბოლო დროს ნორვეგიის (1906 წ.) ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებაა— შეუძლებელი იქმნებოდა, მართლაც რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება ყოფილიყო თანამედროვე ეროვნების წარმოშობის მიზეზი. რით აიხსნება დღევანდელ ჩეხების, პოლონელების, ირლანდიელების და სხვა პაწია ერების „ბრძოლა სახელმწიფოსთვის", თუ არ იმით, რომ ეროვნება არსებობს საკუთარ პოლიტიკურ ერთეულის გარეშედაც, ანვითარებს ნაციონალურს თვითშეგნებას და კულტურას სხვის სახელმწიფოშიაც. თუმცა ხშირად გრძნობს ამ მდგომარეობის არანორმალობას, შეუსაბამობას. იტალიელები არასოდეს არა ყოფილან შეერთებულნი საერთო პოლიტიკურს ორგანიზმში 1859 წლამდის. პაწია სამეფოებად დაყოფილ იტალიის ნაწილს ხან გერმანიელები ჰფლობდნენ, ხან ესპანელები, ხან ფრანგები, ხან ავსტრიელები: მიუხედავად ამისა, არ გაჩენილა ცალცალკე ეროვნებები „ორივე სიცილის სამეფოში", პიემონტში, ვენეციაში, მოდენაში, პარმაში და პაპის სამფლობელოში; არც ნეაპოლიტანელნი გამხდარან ესპანელებად, ნიცცელები—ფრანგებად ან ლომბარდიელები და ტიროლელები—გერმანელებად. იმიტომ რომ სახელმწიფო სინამდვილეში არის არა „ლევიათანი", არა „ენით გამოუთქმელი საშინელება", რომელსაც შეუძლიან ყოველგვარი შეუძლებლობა სინამდვილედ აქციოს, შეჰქმნას ან მოსპოს ეროვნული ფსიხიკა, არამედ ისტორიულად აღმოცენებული ფორმა საზოგადოებრივ ცხოვრებისა და განვითარებისა, რომელსაც თვით ეროვნება ხმარობს თავის ნების-ყოფის განსახორციელებლად და გასამტკიცებლად.

ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ყოველი ეროვნება, რომელიც პოლიტიკურად და სულიერად მომწიფებულია, სცდილობს შეჰქმნას ეროვნული სახელმწიფო, ეს უძლიერესი და უგავლენიანესი იარაღი სოციალურ ნების-ყოფისა. აქ ისეთსავე ევოლიუციას ვამჩნევთ, როგორსაც ცალკე პიროვნების განვითარებაში: როგორც მონა თავის მონობის მთელს საშინელებას, თავის გარეგან ნების-ყოფის შებორკვის აუტანლობას მხოლოდ მაშინა ჰგრძნობს, როცა სულიერად უკვე განთავისუფლებულია, როცა მან უკვე ისწავლა თავის ინდივიდუალობის დაფასება და სცდილობს მას გარეგნული მოქმედებაც შეუსაბამოს, ისე ეროვნებაც მხოლოდ მაშინ განიცდის მთელს ტრაგიზმს პოლიტიკურ მონობისას, როცა იგი უკვე ასულია ეროვნულ თვითშეგნების სიმაღლეზე, როცა აშკარად ჰხედავს წინააღმდეგობას თავის შინაგან მისწრაფებათა და გარეგან პოლიტიკურ მდგომარეობის შორის. ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობაა და შეიძლება, „სოციალურ მშვიდობიანობის" ზოგიერთი მოტრფიალე იმ აზრისა იყოს, რომ უმჯობესია პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული ერი სულიერადაც მონად დარჩეს, უარჰყოს თავისებურება ნაციონალურ შემოქმედებისა და განვითარებისა, დაივიწყოს ენა, ზნე-ჩვეულება, მორალური და ესთეტიური კულტურა, ყველაფერი ის, რაც მას ორიგინალობის ელფერს აძლევდა, და დაექვემდებაროს სხვის დამმახინჯებელ ზედგავლენას. ამ სურათის დეტალურად დამთავრება იმისთვის მიგვინდვია, ვისაც შეუძლიან მისის ხილვით დასტკბეს, ჩვენ კი ღრმად გვრწამს, რომ სწორედ წინააღმდეგ გზით სვლა მიგვიყვანს კაცობრიობის უმაღლეს და უმშვენიერესს იდეალებამდის.

სულიერად თავისუფალს ეროვნებას შეუძლიან ბევრი მშვენიერი და დიდი რამ შეჰქმნას თვით პოლიტიკურს მონობაშიაც-კი. სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლესს ეროვნულს სახელმწიფოში. ამიტომ ყოველი ეროვნება, რომელსაც სურს რაიმე შეჰმატოს კაცობრიობას, უწინარეს ყოვლისა უნდა შეეცადოს გაანთავისუფლოს ეროვნული სული, დაუპირდაპიროს უცხო კულტურულს ზედგავლენას ფსიხიური აქტივობა, სხვისაგან შეითვისოს მხოლოდ ის, რაც მის ხასიათს შეესაბამება, და უკუაგდოს ის, რაც მის თავისებურობისთვის საზიანო და გაუგებარია. მხოლოდ მაშინ იგრძნობს ეროვნება თავის ნების-ყოფის გამომხატველ და განმახორციელებელ იარაღის—დამოუკიდებელ სახელმწიფოს-საჭიროებას და აუცილებლობას, როცა მან უკვე იპოვა თავისი სულიერი მე ორი-

*) იხ. „დროება", N 173.

...ხორციელება ისეთის დიდ საქმეებისა, როგორიც არის რკინის გზების გაყვანა, ზღვებზე ნაოსნობის მოწყობა, კრედიტი რომ არა ყოფილიყო? ან ვინ შესძლებდა კერძოდ ტელეგრაფის, ტელეფონის, ტრამვაიების, სავაჭრო-სამრეწველოების და სხვა მრავალგვარ საკულტურო დაწესებულების განხორციელებას, რომლითაც ასე თავი მოსწონს თანამედროვე ცივილიზაციას? თუნდაც ასეთი პირი გამოჩენილიყოს, მას სხვა გარემოება შეაჩერებდა: ყოველი ახალი საქმე, გარდა დიდის ხარჯისა, მოითხოვს გაბედულობას, „რისკს“. ეს პსიხოლოგიური მომენტი არა ნაკლების მნიშვნელობისაა, ვიდრე ფინანსიური უსაღსრობა. კრედიტის ძალა ორ მხრივ გამოიხატება: იგი თავს უყრის აქა-იქ უსაქმოდ გაფანტულ წვრილ კაპიტალს და თანაც „რისკს“ ანაწილებს საქმის დამწყებთა შორის. ეს ორი თვისება კრედიტისა—კაპიტალის კონცენტრაცია და „რისკის“ დიფფერენციაცია—მას დევ-გმირადა ხდის.

ევროპიელებმა დიდი ხანია შეიგნეს კრედიტის დევ-გმირობა. მარტო გერმანიის გარეშე ვაჭრობა 12 მილლიარდ მარკით (მარკა კურსით თითქმის 50 კაპეიკია) აღირიცხება, წარმოებაში 10 მილიონი მუშაა ჩაბმული, 5700 სააქციონერო კომპანიაა დაარსებული, რომელნიც ატრიალებენ 9 მილლიარდ მარკას შინ და 25 მილლიარდ საზღვარ-გარედ. აკი ამიტომაც გერმანიის ნაციონალური სიმდიდრე სულზე 4000 მარკას აღწევს.

ჩვენ? ჩვენ მხოლოდ ვიოცნებოთ, თანაც ერთმანეთის ქიშპობით ძირი უთხაროთ იმ ბანკს, რომლის დაარსებასა და აღორძინებას ესოდენი შრომა მიუძღვით საუკეთესო მამულიშვილთ.

დამეთანხმებით მკითხველო, დროა მცონარეობა უკუ ვაგდოთ და ისევ კავკაველ ქართველებს მივბაძოთ. დიახ, ამათაც შეუგნიათ კრედიტის ძალა. კრედიტი ორ-პირ მახვილს მოგვაგონებს. რუსეთის ბრწყინვალე წოდებამ და მათთან ერთად ქართველებმაც ამ მახვილს პირი თავიანთ წინააღმდეგ უბრუნეს: დაგირავებულ მამულში აღებული სესხი არა წარმოებას, არა მამულის გაუმჯობესებას—ქეიფ სიამოვნებას მოახმარეს და მით თავიანთ ეკონომიურ კეთილ დღეობას საფუძველი გამოაცალეს. კრედიტის დანიშნულება-კი მხოლოდ წარმოებაშია, ამის გარეშე იგი უაზრობაა თეორიულად, გაღატაკება პრაქტიკულად.

კავკაველებს ეს გარემოება სესხის გაცემის დროს მუდამ მხედველობაში ექნებათ. კორესპონდენტი არ იხსენიებს განზრახულ ბანკის ხასიათს, ტიპს. თუ არა ვცდებით ეს ბანკი მოკლევადიან სესხისა უნდა იყოს დეპოზიტის ფუნქციებით. ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით ამ გვარ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობისათვის ზედ გამოჭრილი წესდება მოიპოვება, ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული 1905 წ. 14 სექტემბერს, 24 ნოემბრის ცვლილებით. სჯობიან ახალ საქმის პატარიდან დაწყება და თან და თან გაფართოვება. ხსენებულ წესდების ძალით, ამ გვარ ამხანაგობას სახელმწიფო ბანკი პირველადვე 4000 მანეთამდის კრედიტს უხსნის, მისი წარმოება შედარებით გაადვილებულია და ხარჯსაც ნაკლებს გამოიწვევს.

ეგნატე ხრამელაშვილი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **პანაშვიდი ვლ. ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად.** დღეს, 6 აგვისტოს, ვლად. ბ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ **რუსების გადმოსახლება.** ამიერ-კავკასიაში რუსების გადმოსახლების საქმისთვის წელს მთავრობას გადაუდვია 79,670 მანეთი. ამას გარდა მუღანის ველში 8000 დესეტინის მოსარწყავ არხის გასაყვანად გადაიდო 307,620 მან. (ტ. ლ.).

✦ **პოლიტიკური საქმე.** 3 აგვისტოს კავკ. სამხედრო სასამართლო შეუდგა ერთ პოლიტიკურ საქმის განხილვას. სამართალში მიცემულია ზაქარია და ილია ქლივიძენი, სპირიდონ მალლობელი (იგივე მელიტონ ფილია), პეტრე ჯიაძე, ალექსანდრე გელოვანი, ოლგა ნათაძე, ნადეჟდა კეკნაძე, მიხეილ კიკნაძე, ერმალოზ სირბილაძე, სპირიდონ ვაშაკიძე, გერასიმ შალამბერია, ევგენი არჩვაძე და ნინო თოფურიძე. ამათ ჰბრალდებათ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ტფილისის კომიტეტის მეშვიდე რაიონის წევრობა. ბრალდებულნი, ნინო თოფურიძის გარდა, დაპატიმრებულნი იყვნენ. ნინო თოფურიძე თავმდებობით იყო გამოშვებული, მაგრამ ეხლა იგი სასამართლოში არ გამოცხადებულა და არ იციან, სად არის. ბრალდებულთ იცავენ იონისიანი, მაჰავარიანი, კოჩუხაშვილი და მასალკინი. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

✦ **უცხოელი გეოლოგები.** პარიზიდან ტფილისში ჩამოსულან გეოლოგები პიერ ბონე და მისი მეუღლე (მ. ი. თამამშევის ქალი). მათ უნდა შეისწავლონ გეოლოგიურად აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია.

✦ **ადგილი ხევსურებისთვის.** თიანეთის მაზრის ბუჩუკურთას და ჩირდილის მცხოვრებ ხევსურებს ბევრის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იყო, მისცეს სახაზინო ადგილები თელავის მაზრის, სოფელ ვარდისუბნის მახლობლად, ჩეროდანში. ადგილების მისაზომად და ხევსურების დასასახლებლად ჩეროდანში იგზავნებიან მოხელენი, მიხ. ვ. მაჩაბლის მეთაურობით.

✦ **„ბატ. ნოვოსტის“ შესახებ.** გუშინ „ზაკავკაზიე“-დან გადმობეჭდილი გვქონდა ცნობა ბათუმის გაზეთ „ბატ. ნოვოსტის“ შესახებ. ეხლა ბათუმიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ცნობა იმის შესახებ, ვითომ ვერრუსთან და პალმთან ერთად „ბატუმსკი ნოვოსტი“ შემეძინოს, პროვოკაციაა. გთხოვთ, უარ-ჰყოთ ეს ამბავი. დემურია.“

✦ **კაპიტნის მაყაშვილის საქმე.** უკვე ვწერდით, რომ პეტერბურგში ირჩევა საქმე კაპიტნის მაყაშვილის შესახებაო. ეხლა დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს: სამხედრო საოლქო სასამართლომ დაამთავრა საქმე საგენერალო შტაბის აკადემიის, მე-39 საარტილერიო ბრიგადის კაპიტნის მაყაშვილისა. მაყაშვილს ჰბრალდებოდა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება, გამოგონილ გვარით ცხოვრება პეტერბურგში და მოტყუებით დაქირავებულ მოსამსახურეთა ბეების გაფლანგვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ჩინების, ორდენების, სამხედრო წოდების ჩამორთმევა და წელიწად ნახევრით ტუსაღთა განყოფილებაში გაგზავნა.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** 4 აგვისტოს კავკ. სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა 12 კაცის საქმე. საღამოს 6 საათზე, სასამართლოს სხდომის შეწყვეტის დროს, პატიმრებმა ლაპარაკი დაუწყეს თავიანთ ვექილებს. ერთმა პატიმართაგანმა, სპირიდონ მალლობელიშვილმა, რომელიც ევროპიულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ისარგებლა შემთხვევით, სასამართლოს დარბაზიდან ქუჩაში გაჰყვა გარეშე ხალხს და მიიმალა. როგორც კი გაიგეს ეს ამბავი, მოედევნენ უკნებს, მაგრამ მალლობელიშვილი ვერ იპოვნეს.

✦ **ადგილების ჩაბარება.** ქალაქის გამგეობამ მოწერილობანი დაუგზავნა ქალაქის სამეურნეო პოლიციის აგენტებს. ამ მიწერილობით აგენტები, როგორც ქალაქის რწმუნებულნი, მოვალენი არიან დაესწრონ ხოლმე სასამართლოს განაჩენით ადგილების ჩაბარებას. აქამდე თუმცა სასამართლოს ბოქაული უცხადებდა მომჩივანს, რომ ესა და ეს ადგილი ქალაქს დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებითო, მაგრამ ქალაქი ფაქტიურ მფლობელობაში არ შედიოდა. გადიოდა ათი წელიწადი და საქმის განსაჩივრებით ადგილს კვლავ ისაკუთრებდნენ.

✦ **ორ საზოგადოების შეერთება.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში არსებობს წვრილ ვაჭართა და სასტუმრო-რესტორანების პატრონთა საზოგადოებანი. ამ რამდენიმე ხნის წინად როგორც პირველ, ისე მეორე საზოგადოების წევრთა შორის ალიძრა ლაპარაკი ამ საზოგადოებათა შეერთების შესახებ, მოხდა გამგეობათა შეერთებული სხდომა, რომელმაც გადასწყვიტა შეერთება. რადგან ორივე საზოგადოების წესდებათა ნაკლულოვანებაც გამოირკვა, არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ახალ წესდების პროექტი. პროექტი უკვე წარედგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს.

✦ **ყოველ დღიური გაზეთი.** როგორც გადმოგვცეს, ყოველ კვირეული რუსული გაზეთი „ნოვი ტფილისი“ აგვისტოს ოც რიცხვებიდან ყოველ დღიურ გაზეთად გამოვა.

✦ **ტყვიის მტყორცნელებით სროლა.** ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციის მოხელეებს მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ 7—8 აგვისტოს ღამე ტფილისში კავკასიის მეორე მსროლელთა ბატალიონში საცდელად ტყვიის მტყორცნელებით სროლას ასტეხენო.

✦ **ქართ. ფილარმონიული საზოგადოება.** გამგეობა და სამუსიკო სასწავლებელი ქართ. ფილარმ. საზოგადოებისა უკვე გადავიდა ახალს შენობაში, საპიორის ქუჩაზე, ძღენტის სახლში, № 18. გამგეობას აზრადა აქვს, სკოლის საქმე გააფართოვოს და ამ წლის სექტემბრიდან, უკვე არსებულ საგნების გარდა, დაარსოს სიმღერის (solo) და ვიოლონჩელის კლასსები. მოწაფეების მიღება დაიწყება აგვისტოს 24-ს სწავლა კი პირველ სექტემბერს.

✦ **ქალთა კურსების რექტორი.** ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების რექტორად მოუწვევიათ პროფესორი ოვსიანიკოვ-კულიკოვსკი.

✦ **წვრილი კრედიტი.** ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოებას აზრადა აქვს, დაარსოს წვრილი კრედიტი ამხანაგობა ვაჭართათვის.

✦ **საგუბერნიო ბიუროს სხდომა.** 4 აგვისტოს, ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა ერობის შესახებ საგუბერნიო ბიუროსი. სხდომაზე მოწვეულ იქმნენ წარმომადგენელნი ქალაქისა, თავად-აზნაურობისა და თავმჯდომარენი სექციებისა. სექციების წარმომადგენლებმა გააცნეს დამსწრეთ სექციების მუშაობა და განაცხადეს უკვე, არჩეულ იქმნენ მცირე კომისიები საჭირო მასალის შესაკრებად და მოხსენებათა შესადგენადაო. მასალა უმთავრესად უნდა შეკრებილ იქნეს სახაზინო პალატასა და მთავრობის სხვა დაწესებულებებში. რადგანაც საჭიროა განსაკუთრებული საქმის წარმოება, კარგი იქნება მცირე კანცელარია მოეწყოსო. ბიურომ კანცელარიის სახარჯოდ გადასდო 100 მან. და დაადგინა, ქალაქის გამგეობასთან მოეწყოს დროებით კანცელარიაო.

✦ **განსაკუთრებული უფლებანი.** ამ ორი-სამი წლის წინად, გაფიცვების დროს, კავკ. ნამესტნიკს მიენიჭა განსაკუთრებული უფლებანი კასპიის სავაჭრო ფლოტის შესახებ. ეხლა ამ უფლებებს ვადა გასდიოდით, მაგრამ უმაღლესის ბრძანებით, კვლავ ძალაში დასტოვეს 1910 წლის 24 იანვრამდეო.

✦ **პირველ სექციის სხდომა.** დღეს, 6 ივლისს, საღამოს 8 საათისთვის ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ პირველ სექციისა. სექციამ უნდა განიხილოს საკითხი დიდ ქალაქების გამოყოფის შესახებ ცალკე საერობო ერთეულებად.

✦ ტფ. წვრილ ვაჭართა მთავარ კომიტეტს განზრახვა აქვს, კომიტეტთან მოაწყოს სამედიატორო სასამართლო, წევრთა სადაო საქმეების გასარჩევად.

✦ წვრილ ვაჭართა საზოგადოების ზოგიერთ საქმეთა დასრულებას ის გარემოება უშლის ხელს, რომ ბევრი წევრი დროზე არ იხდის საწევრო გადასახადს. მთავარმა კომიტეტმა განსაკუთრებული კაცი დაიქირავა საწევრო ფულის მოსაკრეფებლად.

✦ 4 აგვისტოს საღამოთი ისიდორეს ქუჩაზე პოლიციელმა შენიშნა ორი უცნობი. რომელთაც უნდოდათ არმენაკ გრიგორიანცის ბინიდან ტანისამოსის მოპარვა. უცნობები პოლიციელის დანახვაზე გაიქცნენ. ორივე დააპატიმრეს. უცნობნი აღმოჩნდნენ ნიკოლოზ ქურავლევი და მიკიჩ ვართაზარიანცი.

✦ 4 აგვისტოს სალიანსკის ქუჩაზე თემირხანშურელ აკოფ ყაზაროვს ჩხუბი მოსვლია თავის შვილთან. ჩხუბის დროს მამას შვილის გიორგისათვის დანა ჩაუკრავს მუცელში და დაუჭრია. ყაზაროვი დააპატიმრეს.

✦ 4 აგვისტოს ავლაბარში დააპატიმრეს იოსებ ოსიკმაშვილი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ უკან დაბრუნებულა.

✦ 3 აგვისტოს დააპატიმრეს ოლგა და ალექსანდრე გლადკინები, რომელთაც ჰბრალდებათ ტფ. ექიმთა საზოგადოების სამკურნალოდან სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.

# მოწერილი ამბავი

**უწერა (რაჭა).** წელს უწერას ძალიან ბევრი ხალხი მოაწყდა. ეს იმიტომ, რომ წელს მეტად ცხელი ზაფხული. მეორეს მხრით—წარსულს წლებში ბევრ ავ-დმყოფს არ შეეძლო მოსვლა და წყლებით სარგებლობა, წელს ყველამ მოიხარბა და აღარც გრძელს გზას დაერიდა, აღარც სხვა რამ ხიფათს, მაგალითად, ისეთს როგორიც შარშან იყო აქ. უეცრად რიონი მოვარდა და ხიდი მოიტაცა და მჟავე წყალი გაღმა დარჩა, ხოლო მთაგარაკენი—გამოღმა...

წელს მომსვლელთ არ ეყოთ არც სახლები, არც წყალი და თითქმის სანოვაგეც. ბინების უქონლობის გამო, მომსვლელნი იძულებულნი გახდნენ—სოფლად გასულიყვნენ და იქ მეტად უხეიროდ ბინებზე დაბინავებულიყვნენ. რაც შეეხება წყალს, როგორც იქნებოდა ეყოფოდა მთაგარაკეთ, რომ ასეთს გაჭირვებულს დროს ბოთლებით სხვა და სხვა კუთხეებში არა ჰგზავნიდნენ. ვერც დილით და ვერც საღამოთი ხალხი ვერა კმაყოფილდება წყლით, ხან ორისა და ხან ერთის ჭიქის ამარა რჩება. ასეთს დროს არ იქნებოდა ურიგო, რომ გარეშეებს ურმებით და ცხენებით წყალს არ უგზავნიდნენ. წარმოიდგინეთ მთაგარაკეთა მდგომარეობა: სეზონით ბილეთი აღებული გაქვს, დღეში ბილეთზე ორი ბოთლი წყალი უეჭველად უნდა გაძლიონ, ფულს წინდაწინ იხდით, დაიმედებული ხართ, რომ წყალი სამყოფი გექნებათ, მაგრამ დაიწყო სეზონი, მოაწყდა ხალხი, დადგა უზომო სიცხეები და ამ დროს გეუბნებიან: წყალი გამოილია, აღარ არისო. ბოდიშსაც არ იხდიან. წყალი თურმე იმიტომ შემოაკლდათ, რომ ბოთლებით დატვირთეს და გაგზავნეს, მაგალითად, ხნარისკენ. ამას წესრიგი არა ჰქვიან. ხალხი ამ შემთხვევაში მოტყუებული რჩება...

რადგან ხალხს წყალი აღარა ჰყოფნის, სხვა და სხვა ოსტატობას ხმარობს, რომ მეტი წყალი იშოვნოს. სცდილობს ადიონზედ მივიდეს, მაგრამ მაშინაც ვერ შოულობს, რადგან ბევრნი მიდიან [illegible] დაღამებამდის, მაგრამ მაინც იმედი უცრუვდება [illegible] ბნელ ღამეში ამოჰყოფენ თავს; დიდის ვაი ვაგლახით უნდა მოსძებნოთ ვიწრო ბილიკი, მიხვალთ და წყლის გამგე გიცხადებთ: აწი წყალს ვერავის დავაძლევინებ, ბოთლებისთვისაა საჭიროო. ერთ ღამეს სულ 5-10 კაპიკის ნავთი მოუნდებოდა, საღამოთი მცირე ხნით მაინც რომ აანთებდნენ. მაგრამ ალბად ესეც ზედ მეტად მიაჩნიათ მთაგარაკების ცხოვრებისთვის.

თვით დაბაში რამდენიმე ფარანია და გვარიანათ ქუჩები განათებული. თვითონ დაბაშივე მუდამ ყურს უგდებენ სისუფთავესა და სიმშვიდეს ყოველთვის სდგას დარაჯი; არის პოლიციის ბოქაული, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს დასუფთავებას, სანოვაგის ნიხრს, ონიდან ფოსტის ზიდვას და სხვას. გაზეთებს თითქმის ყოველ დღე ვღებულობთ; ონის ექიმიც ხშირად არის აქ. არის დროებით მოსული კბილის ექიმიც, რომელიც თურმე მეტად საჭირო ყოფილა არა თუ მომსვლელთათვის, სოფლელებისთვისაც. იკვლის ყოველ დღე ძროხა ან ხბოები (იყო 35 კაპ, 40 კაპ.) კარაქი, ერბო საუცხოვო ღირსებისა—35 კაპ. გირვანქა. ბოთლი რძე 15 კ. პური ორნაირია: ფურნისა კი ისეთია, რომ ვერც ერთი სადი კაცი ვერ მოინელებს. დიდს პურებს აცხობენ ფურნეში, თითო თითქმის 20 გირვანქა გამოვა. ასეთს დიდს პურს რომ მომუშავე აკლდეს, ან გული არ უცარგიდეს, რა გასაკვირველია.

ამ რიგად დაბას არა უშავსრა, რომ წყალი იყოს საკმაო. წყალი რომ აღარ ჰყოფნით მთაგარაკეთ, ბევრნაირი უწესობა ხდება. არ არის წეს-რიგი, თუმცა გამგე წყლისა სცდილობს, ყველას თანასწორთ ჩამოურიგოს ჭიქებით წყალი, მაგრამ ბევრი არ უცდის წეს რიგს და ადგილს შეცვლის, ან ნაცნობობით და ან გავლენით ზედ მეტ წყალს არგუნებს. ხშირათ ხდება, რომ დღიურ გადასახადში (6 კაპ.) ერთი ან ორი ჭიქა ძლივს შეგხვდებათ. ვინ იცის, რა სიშორიდან მოსულა ავადმყოფი, უკანასკნელს გროშს იხდის, მაგრამ წყალს სამყოფს ვერა შოულობს.

ს. დათეშიძე.

# სპარსეთი

**როდის გამოვა რუსის ჯარი სპარსეთიდან.**

29 ივლისს, პეტერბურგში სტოლიპინის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა სპარსეთის საქმეებზე და რუსის ჯარის გამოყვანიზე, რა გადასწყვიტა საბჭომ,—ეს ჯერ სწორედ ვერ შეიტყეს გაზეთებმა.

„კასპი“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ხმა დადის, რომ რუსის ჯარს 15 აგვისტომდე გამოიყვანენ სპარსეთიდანაო“.

სულ სხვას ატყობინებენ „ბაკუ“-ს: „გადასწყვიტეს, რომ რუსის ჯარი არ გამოიყვანონ სპარსეთიდანო“.

**მირ-ჰაშიმის სიკვდილით დასჯა.**

როგორც უკვე ვიცით, თეირანში სიკვდილით დასაჯეს ცნობილი რეაქციონერი მირ-ჰაშიმი.

მირ-ჰაშიმი წინად, მეჯლისის განადგურებამდე, დიდ როლს თამაშობდა კონსტიტუციონალისტებში. მერე შაჰმა შეისყიდა მირ-ჰაშიმი და თავრიზში გაგზავნა რევოლიუციონერების წინააღმდეგ სამოქმედოდ. მან თავრიზში იმდენად გააძლიერა რეაქციონური პარტია, რომ აშკარად დაუწყო ბრძოლა სათარ-ხანსა და მის მომხრეებს. ბოლოს სათარ-ხანმა სძლია რეაქციონერებს და მირ-ჰაშიმი თავრიზიდან განდევნა. იგი თეირანში გაიქცა და იქ მოქმედებდა, სანამ რევოლიუციონერებმა თეირანი არ აიღეს. თეირანის აღების შემდეგ იგი გაიქცა იქვე ახლო სოფელ ზერგენდიში, სადაც რუსის საელჩო იმყოფება ზაფხულობით, მაგრამ მისი მოსამსახურეები ისე ცუდათ იქცეოდნენ, რომ მირ-ჰაშიმი იქიდანაც განდევნეს. მან ექიმის ტანისამოსი ჩაიცვა და სოფლებში იმალებოდა.

---

...გინალურ კულტურულ შემოქმედებაში, და მხოლოდ მაშინ მიეცემა იმის პოლიტიკურ ბრძოლას არა მარტო აზრი და რეალური შინაარსი, არამედ ის სტიქიონური ძლევამოსილებაც, რომლისთვის თვით დამარცხებაც და ტრაგიკული ბოლოც კი ბრწყინვალე გამარჯვებაა. ამისი მაგალითი ბევრი იცის ისტორიამ, თუნდ პოლონელების, ჰუნგრელების, იტალიელების, ბერძნების, რუმინელების და სხვათა წარსულიდან.

ამ შემოქმედებასა და ბრძოლაში არ შეიძლება ერთი რომელიმე კლასი ან წოდება ჩაითვალოს ეროვნულ იდეის ან სულის განსაკუთრებულს მატარებლად. შემცდარია ის აზრი მონტესკიესი და დემესტრისა, რომლის მიხედვითაც ეროვნებად მხოლოდ სუვერენი და არისტოკრატია უნდა ჩაითვალოს, როგორც შემცდარია ის შეხედულება საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის რადიკალურ ბურჟუაზიისა, რომელიც ოლარმა შემდეგის სიტყვებით დაახასიათა: „ეროვნება—ეს შეძლებული და განათლებული საფრანგეთიაო.“ ეროვნება მაღლა სდგას კლასებზე და უფრო მჭიდროდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე თანამედროვე კლასები მას ჰყოფენ და აცალკევებენ. ყველა საზოგადოებრივი კლასი ერთნაირადაა დაინტერესებული, რომ ის ეროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის, დიადი და კულტურული გახდეს. ეს იმიტომ, რომ პიროვნება, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ორგანიულადაა შეერთებული ეროვნულს ფსიხიურს ერთეულთან, მთელ იმის არსებობასთან, ზრდასთან და განვითარებასთან. სოციალურს კლასსთან კი მას არსებითად მხოლოდ ეკონომიური ინტერესები აკავშირებენ; ამიტომ სოციალური კლასსი ვერასოდეს ვერ გამოიჩენს პიროვნებაზე კულტურულ გავლენის ისეთს მრავალ-მხრივობას, როგორც ეროვნება.

სოციალურ კლასსებად დაჯგუფებად დაყოფვას საძირკვლად ყველგან ერთი და იგივე ეკონომიური ფაქტი უძევს: მითვისება ერთ მადგანთა მიერ მეორეთა მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებისა. ეს ფაქტი ყველგან ერთნაირად მეორდება და თუ, მიუხედავად ამისა, სხვა და სხვა ერის კლასსებს შორის უფრო მეტს განხვავებას ვხედავთ, ვიდრე მსგავსებას, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ადამიანის არსებაზე, მის მორალურს, ინტელექტუალურს და ესთეტიურ ბუნებაზე. ნაციონალურ მომენტის გავლენა შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე კლასობრივისა და წოდებრივისა. პიროვნებას შეუძლიან ამაღლდეს კლასებზე, იმ ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობაზე, რომელიც სოციალურს ბრძოლას იწვევს; ამ საზოგადოებას ობიექტიურ ისტორიულ განვითარების თვალთსაზრისით უცქიროს. ასეთი პიროვნება ხშირია განსაკუთრებით ინტელიგენციაში. კიდევ მეტი—ის იდეალია ჯგუფებრივ ეგოიზმისაგან თავისუფალ მკვლევარისა. მაგრამ მას არ ძალუძს ამაღლდეს ეროვნებათა ურთიერთობაზე, განთავისუფლდეს იმის ყოველმხრივ ზედგავლენისაგან. პიროვნება ეროვნების გარეშე—შინაგანი წინააღმდეგობაა, საცოდავი აჩრდილი ჰეშმარიტ ადამიანობისა, საკაცობრიო კულტურას მოწყვეტილი უსისხლხორცო არსება. „ამგვარად ინდივიდუალური ცხოვრება წარმავალი ტალღაა ნაციონალურ ცხოვრების საუკუნოებათა განმავლობაში მსრბოლავს მდინარეზე, რომელთან ერთად იგი ბოლოს კაცობრიობის სულიერ ცხოვრების განუზომელს ოკეანეს ერთვის“ (ვუნდტი).

დამოკიდებულება და ურთიერთობა ეროვნებასა და პიროვნებას შორის შეუდარებლად უფრო მჭიდრო და ორგანიულია, ვიდრე ეს სოციალატომისტურს თეორიას ეგონა. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება არ არის ცალმხრივი: პიროვნება არა მარტო ექვემდებარება ეროვნულ ერთეულის გავლენას, არამედ თვითონაც აქტიურად მოქმედებს მასზე და მით უმეტეს, რაც უფრო მდიდარი და ძლიერია თვითონ ის. ერთი თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად ამბობს: „ადამიანი საჭიროებს საზოგადოებას არა მარტო, როგორც თავის მატარებელს, არამედ როგორც ობიექტსაც, რომელშიაც შეაქვს ის, რაც მასში სცხოვრობს და რამდენადაც უფრო ავტონომიური და ინდივიდუალური ხდება თვით პიროვნება, იმდენად უფრო გაბედულად და ფართოდ ავლებს ის თავის გარშემო იმ წრეს, რომელმაც მასზე უნდა იქონიოს გავლენა და რომელზედაც აგრეთვე მას სურს იმოქმედოს... მაგრამ ცხოვრების ამ დიდს წრეებში, რომელთა შორისაც პიროვნებას თავისის თავის ჩაყენება შეუძლიან, სხვა ისეთი უეჭველად არ არსებობს, რომელიც ისე პირდაპირ და ყოველ მხრივ ელაპარაკებოდეს მთელს ადამიანს, ისე ძლიერად ატარებდეს მას, ისე უცდომლად გადასცემდეს მთელს იმის ბუნებრივს და სულიერს არსებას, რომელიც თვით ისე სავსებით წარმოადგენდეს მაკროანთროპოსს და გაძლიერებულს ინდივიდუუმს, როგორც ეროვნება.

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

მირ-ჰაშიმი ღამით დააპატიმრეს და ღამითვე გაასამართლეს. მას უპოვეს 1,100 ოსმალურ გირვანქის ჩეკი (10,000 მანეთამდე). სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა და ეს განაჩენი მაშინვე უკვე შეასრულეს.

საყურადღებოა, რომ მირ-ჰაშიმი სეიდია, ესე იგი წინასწარმეტყველ მაჰმადის ჩამომავალი. მაგრამ სპარსეთში ამ ჟამად არავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ ბრალდებულის ჩამომავლობას. საყურადღებოა ისიც, რომ მირ-ჰაშიმი დაატუსაღეს ლიახოვის ბრიგადის ყაზახებმა—წინად კონსტიტუციის მოსისხლე მტრებმა.

**რუსეთის საელჩოს მოთხოვნილება.**

რუსეთის საელჩო თხოულობს, რომ სპარსეთმა გადაიხადოს ყველა ის ხარჯი, რომელიც ყაზვინის რაზმს მოუვიდა სპარსეთში. ეს ხარჯი, რუსის საელჩოს ანგარიშით, უდრის 1,500,000 მანეთს. („ტ. ლ.“)

**შაჰად ნამყოფი მამედ-ალი.**

შაჰად ნამყოფს მამედ-ალის მალე გაისტუმრებენ სპარსეთიდან რუსეთსჯერ გადაწყვეტილი არაა, სად ასახლდება იგი, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ შაჰად ნამყოფი ალბად ყირიმის სამხრეთ ნაპირზე დასახლდება სადმე.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება სტოკჰოლმიდან 31 ივლისის თარიღით: „მეათე დღეა, რაც გაფიცვა დაიწყო. გაფიცულია 350,000 მუშა, ხოლო ოფიციალურის ცნობით —285,776. მთელ ამ ათ დღეში პოლიციას ერთი მთვრალიც არ დაუტუსაღებია, როდესაც გაფიცვის წინათ ყოველ დღე 30-40 მთვრალს ატუსაღებენ.

შტრეიკბრეხერების (გაფიცვის გამტეხი მუშები) რიცხვი ადის 3 ათასამდე. ტრამვაებზე მუშაობენ მხოლოდ კანტროლიორები და ორიოდე მუშა. ავტომობილებს თითონ პატრონები ჰმართავენ.

მრეწველთა კავშირმა უკვე დახარჯა 2 მილიონი კრონი, მუშათა კომიტეტისთვის კი ჯერ არც ერთს გაფიცულს არ უთხოვნია დახმარება. გაფიცულ მუშებს გამოუგზავნეს დასახმარებლად: გერმანელმა მუშებმა ასი ათასი კრონი, ნორვეგიელებმა ოცი ათასი და დანიელებმა 40,000. ავსტრო-ჰუნგრეთისა, ამერიკისა, რუმინიისა და ბოლგარიის მუშებიც დაჰპირდნენ ფულის გამოგზავნას.

„რუსკ. ვედ.“-ს კორესპონდენტი ადარებს მუშებისა და მრეწველების შეძლებას და ხარჯსა. იგი სწერს: „ვნახოთ რა შეძლება აქვს ორსავე მებრძოლ მხარეს; ვნახოთ, რამდენ ხანს შესძლებს ორივე მხარე ბრძოლას. მრეწველების მდგომარეობა შემდეგია: მათის კავშირის გამგეობის ანგარიშიდან ჩანს, რომ კავშირის თავისუფალი ნაღდი ფული 500,000 კრონამდე, —ჯერ კიდევ საყოველთაო გაფიცვამდე დაურიგდა კავშირის წევრთ, რომლებმაც ამ ფულით დათხოვნილი მუშები დააკმაყოფილეს. გაფიცვის დროს კავშირმა საგანგებოდ ისესხა 16 ბანკისგან 8,000,000 კრონი და ამ ნასესხებ ფულს გარდა კავშირს არც აქვს მეტი ფული. თუმცა კავშირი არავის უმალავს, თუ რა ხარჯი მოსდის გაფიცვის დროს, მაგრამ მაინც ყველანი ჰფიქრობენ, რომ მას ყოველ დღე 700, ათას კრონამდე ეხარჯებაო. მაშასადამე მას ბრძოლა 14 დღეზე მეტს არ შეუძლიან.

რაც შეეხება მუშებს, მათი მდგომარეობა შემდეგია: მათის ორგანიზაციების კასები ძლიერ შესუსტდა ჯერ კიდევ ლოკაუტის დროს, როდესაც დათხოვნილ მუშებს დახმარება დასჭირდათ. გარედან—ნორვეგიიდან, დანიიდან, ფინლიანდიიდან, ავსტრიიდან, ჰუნგრეთიდან, გერმანიიდან და ამერიკიდან—კომიტეტს ყოველ კვირას უგზავნიან 175—200 ათას მარკას და ამ შემწეობას მთელს თვეს არ მოაკლებენ. გაფიცვის დროს მუშებს არაფერს არ აძლევენ. ორგანიზაციის საკუთარი და გარედან მიღებული ფული მოხმარდება: 1. გაფიცულ მუშებისთვის სანოვაგის სყიდვას და ბრძოლის მიმდინარე ხარჯებს; 2. ეს ფული დაურიგდებათ მუშებს გაფიცვის შემდეგ საჭიროების დაგვარად და იმ დიდის მსხვერპლის ასანაზღაურებლად, რომელსაც სწირავენ მუშები გაფიცვის დროს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რკინის გზისა და სოფლის მუშები 2 აგვისტოს, ესე იგი გაფიცვის მე-12 დღეს, გაიფიცებიან, და გავიხსენებთ სრულს წესიერებას და მუშების ამაყ სიდინჯეს, გაზვიადებულად აღარ ჩავთვლით მუშათა კომიტეტის იმედს, რომ მუშები სამი კვირით მეტს გასძლებენ, ვიდრე მრეწველთა კავშირიო, თუ რასაკვირველია რაიმე მოულოდნელი შემთხვევა და პროვოკაცია ხელს არ შეუშლის მუშებს“.

# ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**მორიგების იმედი.**

ბოლოს დროს დიპლომატებს იმედი მიეცათ. რომ საბერძნეთ-ოსმალეთის დავა უომრად გადასწყდებაო. ოსმალეთის მთავრობამ დეპეშით ბრძანება გაუგზავნა ოსმალეთის ესკადრას, რომ იგი ისევ მარმარილოს ზღვაში დაბრუნდეს.

მთავრულ - სახელმწიფოებს უფრო გერმანიისა და ავსტრიის ინტრიგებისა ეშინიათ. ინგლისელი დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ავსტრია და გერმანია უთუოდ ხელს შეუშლიან საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტასო. ამიტომ ინგლისის ესკადრა სასწრაფოდ გაემართა კრიტესკენ. ასევე მოიქცა იტალიის ესკადრაც.

**ინგლისის პროექტი.**

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ ლონდონ-ინგლისი წინადადებას წარუდგენს სახელმწიფოებს, რომ კრიტეს საქმის გადასაწყვეტად შეიკრიბონ ევროპის სახელმწიფოთა კონფერენცია. ინგლისი იმ აზრისაა, რომ კრიტეს უნდა მიეცეს 10 წლის ვადით სრული ავტონომია, ხოლო ოსმალეთს ამავე ხნის განმავლობაში უნდა შერჩეს უზენაესი ხელმწიფობა კუნძულზე, 10 წლის შემდეგ-კი კრიტელებმა მოახდინონ პლებისციტი და თითონვე გადასწყვიტონ თავიანთ ბედიო.

**კრიტელი მუსულმანები.**

ფრანგულ გაზ. „ტან“-ში სანტერესო ცნობებია დაბეჭდილი კრიტელ მუსულმანებზე:

კრიტეზე სულ 330,000 მცხოვრებია. ამათგან მხოლოდ 28-29 ათასია მუსულმანი, მაშასადამე მუსულმანები შეადგენენ კრიტეს მცხოვრებთა 11 პროცენტს. მოდგმით კრიტელ მუსულმანებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ ოსმალებთან. ისინი იგივე ბერძნები არიან წარმოშობით და ბერძნულ ენის გარდა სხვა ენა არ იციან; სხვა ბერძნებისგან მხოლოდ სჯულით განსხვავდებიან: მათ მამა-პაპას მიუღია მუსულმანობა. კრიტეს ეროვნულ კრებაში მათ ჰყავთ 8 წარმომადგენელი და ამნაირად მუსულმანთა დეპუტატები შეადგენენ კრიტეს მთელის პარლამენტის მერვე ნაწილს. მუსულმანებს იდებენ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა სამსახურში; ამ ჟამად კრიტეზე სახელმწიფო სამსახურში ითვლება 129 მუსულმანი, ხოლო თვითმართველობის დაწესებულებებში — 144. დესაც წარსულ წლის ოქტომბერში ეროვნულმა კრებამ დაადგინა კრიტე საბერძნეთს შეუერთდესო, ყველა ქრისტიანმა მოხელემ ფიცი მიიღო საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე, მუსულმანმა მოხელეებმა-კი უარი სთქვეს. ამიტომ ისინი ორი კვირით დაითხოვეს სამსახურიდან და ამ ხნის განმავლობაში მათმა ქრისტიანმა ამხანაგებმა ფიცი მიიღეს. ქალ. კანეის პოლიციის უფროსად დღესაც მუსულმანია ალი ბეინაიბზადე. როგორც ყველა სხვა მუსულმანმა მოხელემ, არც მან მიიღო ფიცი საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე, მაგრამ იგი სამსახურის ყველა საქმეს მაინც საბერძნეთის მეფის სახელით ასრულებს. თუმცა კრიტელი მუსულმანები სრულს თანასწორობით სარგებლობენ, მათ მაინც არ უნდათ კრიტეს შეერთება ოსმალეთთან და არც ევროპის სახელმწიფოთა ჯარის გაყვანა მოუნდათ კუნძულზე; ეს გარემოება მით აიხსნება, რომ კრიტელი მუსულმანები, რომლებიც პატრონობდნენ კუნძულზე, ეხლა ვეღარ შესჩვევიან ახალ წეს-წყობილებას, რომელიც მათ ისეთსავე უფლებას ანიჭებს, როგორიც აქვს ქრისტიანებს. მაგრამ, „ტან“-ის კორესპონდენტის აზრით, მაინც მოსალოდნელი არის, რომ მუსულმანები კუნძულიდან გადასახლდნენ, როგორც ისინი თითონ აცხადებენ. სხვა არა იყოს რა, მარტო იმ მიზეზით ვერ გადასახლდებიან ოსმალეთში, რომ მათ ბერძნულის მეტი სხვა ენა არ იციან; ოსმალურ ენის უცოდინარობა ძლიერ დააბრკოლებს მათს გადასახლებას ოსმალეთში.

**კრიტელების ფიცი.**

ვენურ გაზეთებს ატყობინებენ კრიტედან: კრიტელების უმეტესობამ დაიფიცა, რომ თუ ომი მოხდება ყველანი საბერძნეთის ბაირაღ ქვეშ დავდგებით და ოსმალეთის ჯარს შევებრძოლებით, გინდ ამისთვის ძლიერაც გაგვიწყრნენ მფარველი სახელმწიფოებიო.

**ბერძენ აფიცრის დატუსაღება.**

30 ივლისს საღამოს სტამბოლში დაატუსაღეს საბერძნეთის ჯარის აფიცერი სანადინოსი, რომელსაც უპოვეს ქაღალდები კრიტეს შესახებ. სანადინომ განაცხადა, ბერძნულ გაზეთების თანამშრომელი ვარო.

# „დროების“ ფოსტა

**ქვიშხეთის საზოგადოების რწმუნებულებს.** თქვენის საზოგადოების შვიდი სოფლის რწმუნებულების წერილი ჩვენ რედაქციას არ მიუღია. იმ კაცს, ვისთვისაც წერილი გამოგიტანებიათ, რედაქციაში სულ არ შემოუვლია. დღემდე ველოდით წერილს, მაგრამ არ მიგვიღია. მივიღეთ მხოლოდ მეორე წერილი, 13 ივლისს გამოგზავნილი, რომელშიაც რწმუნებულთა გვარებია.

# რუსეთი

✦ **საიდუმლო სტამბა.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „პოლიციამ აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების საიდუმლო სტამბა. სტამბა მშვენიერად იყო მოწყობილი.“

✦ **გერცენშტეინის მკვლელები.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს ყოფილ მსახურს ნაფიც ვექილ ვებერისთვის წერილი გაუგზავნია. ყოფილი მსახური სწერს, რომ გერცენშტეინი იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ მოჰკლა. მკვლელობა მთავარმა საბჭომ მოაწყოვო. ამასთან ყოფილი მსახური ვებერს სთხოვს, მოწმედ გამოწვიეთ და სასამართლოში დოკუმენტებით ხელში დავამტკიცებ, რომ ეს მკვლელობა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ საქმეაო.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები.** „რეჩი“-ს სიტყვით კადეტებს საბოლოოდ გადაუწყვეტიათ სახელმწიფო სათათბიროდან გამორიცხულ დეპუტატად ლიუბაკინის მაგიერ მიწათ-მოქმედების მინისტრად ნამყოფი კუტლერი გაიყვანონ. შრომის ჯგუფი კადეტების კანდიდატს დაუჭერს მხარს.

✦ **გზათა მინისტრის განკარგულება.** ამ დღეებში გზათა მინისტრს ბრძანება გაუცია ტუსაღების რკინის გზით გადაყვანის დროს, სისხლის სამართალში მიცემული და პოლიტიკური ტუსაღები გაანცალკევეთ ხოლმეო, მიიღეთ ზომები, რომ ორ კატეგორიის ტუსაღები ერთ ვაგონებში არ მოჰყვნენ და თუ მოჰყვნენ ცალ-ცალკე განყოფილებებში მოაქციეთ და განყოფილებების შუა განსაკუთრებული დარაჯები დააყენეთო.

✦ **„წიგნების“ გაყიდვა.** „ნოვაია რუსს“ ხარბინიდან დეპეშით ატყობინებენ; ხარბინის სადგურზე საჯარო ვაჭრობა იყო იმ საქონლისა, რომლებიც პატრონებმა არ გამოიყიდეს, ან თავის დროზე არ გაიტანეს სადგურიდან და კანონის ძალით უნდა გაყიდულიყვნენ. გასაყიდ საქონელში ერთი ყუთიც იყო, რომელსაც ზემოდან ეწერა „სხვა და სხვა წიგნები“. ეს ყუთი 10 მანეთად შეიძინა ერთმა ვაჭარმა. ვაჭარმა სადგურზევე გახსნა ყუთი და შიგ წიგნების მაგიერ... დუბროვინის მოწოდებები აღმოჩნდნენ. მოწოდება გერცენშტეინის მკვლელობას შეეხებოდა. დუბროვინი „კავშირის“ წევრებს ურჩევდა, მთავრობისთვის დეპეშით ეთხოვნათ, რომ გერცენშტეინის საქმე მოესპოთ და დუბროვინი ცილის-წამებისაგან გაენთავისუფლებინათ. ვაჭარი ძალიან დაღონდა, რომ ფული ტყუილა-უბრალოდ დახარჯა და ვაჭრებს შეეხვეწა ეხსნათ გასაჭირისგან. ვაჭრებმა შეაგროვეს 10 მანეთი და მოტყუებულ ვაჭარს გაიტანეს. ამის შემდეგ ვაჭრებმა მოწოდებები გამოსცეს ქალაქ გარეთ და დიდის ამბით დასწვეს“.

✦ **დასჯაც ასეთი უნდა.** ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვის მაზრაში შემდეგი ამბავი მოხდა: ბოქაულმა ერთ გლეხს უბრძანა... აბაღამ ჩემსას შენი ქალი გამოგზავნე, თორემ დაისჯებიო. გლეხი „გაკადნიერდა“ და მის მაღალკეთილშობილებას უარი მოახსენა: ბოქაულმა ძალიან და შეინახავდა. „რუსკ. სლოვო“-ს დეპეშა იწყინა გლეხის ასეთი „თავხედობა“ და დარაჯებს მაგრა აცემინა ამითიც არ დაკმაყოფილდა და შემდეგ თვითონაც უწყალოდ სცემა გლეხს. „რუსკ. სლოვო“ იუწყება, რომ ეს საქმე ამ დღეებში გაარჩია სასამართლომ და ბოქაულ ივანოვსკის (ივანოვსკი „რაინდ-ბოქაულის“ გვარია)... 25 მანეთის ჯარიმა მიუსაჯაო!!

✦ **კიდევ სანაძლეოს შესახებ.** ამ დღეებში ცნობა გვქონდა, რომ საეროზო უფროსი კოლი-ბაბა და მემამულე ცანკოკილიჩი დანაძლევდნენ. სანაძლეოთი თუ საერობო უფროსი კოლი-ბაბი 17 დღიურ ქერს განსაზღვრულ დროს მოსცელავდა, ცანკო-კილიჩი სოფელ კამრატში ქალთა გუმნაზი ს შენობას ააგებდა, მოაწყობდა და შეინახავდა. „რუსკ. სლოვო“ს დეპეშით ატყობინებენ: კოლი-ბაბამ უკვე მოიგო სანაძლეო. მან მოცელვა ხუთი დღით ადრე გაათავა, სანამ სანაძლეოში იყო აღნიშნული. ცელვის გათავების შემდეგ გლეხებმა ხელში აიყვანეს და ისე წაიყვანეს სოფელში. მის პატივსაცემლად გლეხებმა ნადიმი გამართეს. გიმნაზიას მომავალ სასწავლო წლიდან გახსნიანო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვლადიმირში 2, კავკავში 2, მოსკოვში 1, ხარკოვში 2, რეველში 4, მოგილევში 3 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: სამარაში 1, რეველში 2, პეტერბურგში 1, მოსკოვში 2, მოგილევში 1, ვარშავაში 2 კაცი.

✦ **თავდასხმა.** „ბაკუ“-ს მოსკოვიდან დეპეშით ატყობინებენ: 4 აგვისტოს ადგილობრივ უნივერსიტეტის ორი სტუდენტი გასაცარცვავად თავს დაეცა კნეინა შახოვსკაიას ერთ დგმულს. პოლიციამ ერთი სტუდენტი დააპატიმრა, მეორემ იქვე თავი მოიკლა.“

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს გიორგის და მათ დას, სოფიო ალადაშვილისას, რომელთაც შემოსწირეს შემდეგი ვერცხლის ნივთები ჩემდამო რწმუნებულ ს. არებოშაკის ეკკლესიას: ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ორი თეფში და ერთი წმ. გიორგის ხატი ვერცხლით შემოსილი. **მღ. მიხეილ მენუშობელი.**


# განცხადებანი

დაიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არჩილ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტანდილთან ხაკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—5)

# სახლი

რომელიც იყიდებოდა 8 ათას მანეთად, პატრონის წასვლის გამო, ეხლა იყიდება ხუთი ათას მანეთად. კოჩუბეის ქ, № 16, ჰკითხეთ დეკანოზოვს. (3—1009—1)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ბორიანსკის ქუჩის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—145)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტრო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინ. ნ. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. სწავლა დაიწყ. 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (1—ხალ.—1)

1882 г. 1896 г.

ФАБРИЧНО-ТОРГОВОЕ ТОВАРИЩЕСТВО

А. И. Абрикосова С-вей.

ФАБРИКИ: Москва и Симферополь.

Розничные магазины въ Москвѣ:

1. Кузнецкій мостъ, пасс. Солодовникова.
2. Тверская, д. Полякова, ряд. съд Ген.-Губерн.
3. У Ильинск. вор., Луб.-Ильин Торг. Пом.
4. Верхніе Торговые ряды.

Оптовый магазинъ и контора: МОСКВА, Лубянскій проѣздъ, домъ Политехническаго Музея.

ОТДѢЛЕНІЯ: С.-ПЕТЕРБУРГЪ, ОДЕССА, КІЕВЪ.

# ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.

Въ виду появленія въ Москвѣ кондитерскаго магазина подъ фирмою, близкой по наименованію къ нашей, просимъ гг. покупателей, во избѣжаніе недоразумѣній, обращать вниманіе на отличительные признаки нашего Т-ва, всѣ этикеты коего снабжены изображеніями

**ГЕРБА ПОСТАВЩИКОВЪ Двора Его Императорскаго Величества и двухъ государственныхъ гербовъ.**

ОТДѢЛЕНІЙ И МАГАЗИНОВЪ Т-ва А. И. АБРИКОСОВА С-вей, КРОМѢ ПЕРЕЧИСЛЕННЫХЪ, **БОЛЬШЕ НИГДѢ НѢТЪ.**

Просимъ обращать вниманіе на иниціалы: **А. И.**

(Метцль и К° N 184939) (4—6.—3)

# პროვოდნიკის

1897 წ. 1888

1908 წ.

# ამხანაგობა რიგაში

საიმპერიო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდად და საცალოდ:

რეზინის, კალოში და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილება,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საკანცელარიო საქონელი,
საშლელი რეზინი „სალონ“ მარკისას

ცალობით ვაჭრობა ყველა-მაღაზიებში საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. ალხაზი.